უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

#5 (60) 2016

უნივერსიტეტმა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რექტორის მოადგილე დარეჯან თვალთვაძე 526 ხმით აირჩია რექტორის მოვალეობის შემსრულებელად. მოქმედი კანონის მიხედვით, დარეჯან თვალთვაძე მოვალეობის შემსრულებელი მაქსიმუმ 6 თვით იქნება. 15 მაისს აკადემიური საბჭოს წევრები უნდა აირჩნენ, რომლებიც თავის მხრივ რექტორს აირჩევენ. არჩევნებისთვის 1311 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. საარჩევნო კომისიის მდივნის, დემეტრე ეგნატაშვილის ინფორმაციით, სულ არჩევნებში ხმა 967-მა ადამიანმა მისცა. საარჩევნო პროცესს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია (საქართველოს ოს ქალთა ასოციაცია, ახალგაზრდა ადვოკატები, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, დავით ბაგონიშვილის სამართლის ინსტიტუტი) და 16 დამოუკიდებელი დამკვირვებელი აკვირდებოდა.

პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ პირველი კომენტარი შედეგების გამოცხადებიდან რამდენიმე წუთში გააკეთა: „ძალიან აღელვებული ვარ. 1300-ზე მეტი ამომრჩეველი იყო უნივერსიტეტში და დაახლოებით ნახევარზე მეტმა არჩევანი შეაჩერა ჩემს კანდიდატურაზე. შეუძლებელია ვინმეს ეს არ უხაროდეს და მეც, ბუნებრივია, მიხარია. ამავე დროს, შეუძლებელია გონიერ ადამიანს ეს არც აწუხებდეს, იმიტომ რომ ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც დაგაკისრა შენმა უნივერსიტეტმა, შენმა კოლეგებმა – ამ საკმაოდ რთულ სიტუაციაში უხელმძღვანელო დროებით, მაგრამ მაინც უხელმძღვანელო საქართველოში პირველ უნივერსიტეტს. იმ უნივერსიტეტს, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს, რომელსაც ბოლო ხანებში შეიძლება სახელი შეუბღალეს თუ შეებღალა, მაგრამ უნივერსიტეტს აქვს იმის რესურსი, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წარმართოს. უპირველესად, ამისთვის საჭიროა, რომ ამ უნივერსიტეტს ყავდეს ლეგიტიმური მმართველი ორგანოები - მისი აკადემიური საბჭო, რომელიც არის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, კანცლერი, რომლის არჩევნებიც ალბათ ძალიან მალე ჩატარდება. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, რისთვისაც უნივერსიტეტმა მოვალეობის შემსრულებელი აირჩია, რომ მოვამზადოთ და ღირსეულად ჩავატაროთ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები. ჩემს მთავარ ამოცანას სწორედ ამაში ვხედავ. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ყველანი ერთად, მთელი უნივერსიტეტი, მისი პროფესურა, მისი მეცნიერ-თანამშრომლები, მისი სტუდენტები და მისი რიგითი თანამშრომლები, რომლებიც აღმინისტრაციულ თუ დამხმარე სტრუქტურებში მუშაობენ, ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, ყველაფერმა ჩაიაროს ძალიან მშვიდად, დემოკრატიულობისა და გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით და უნივერსიტეტი მივიყვანოთ ახალი რექტორის არჩევამდე“. – აღნიშნა მან.

თსუ რექტორი ვლადიმერ პაპავა საგზაღლობას ანგარიშს აბარებს

19 აპრილს, თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებამდე ერთ დღით ადრე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ პრესკონფერენცია გამართა და რექტორის თანამდებობაზე სამწლიანი მუშაობა შეჯამა.

გვ. 2

ცვლილებების თვე უნივერსიტეტში

გასული თვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის კვლავ ხმაურიანად და ცვლილებებით დატვირთული აღმოჩნდა. უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა სტუდენტების პოზიციები, მთავარი ფაქტორი კი უნივერსიტეტის ინტერესები იყო.

თსუ აკადემიურმა საბჭომ დაამაყოფილა თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადება 1 მაისიდან თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. რაც შეეხება აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებას – იგი გააგრძელებს კანონით განსაზღვრული მოვალეობის შესრულებას უწყვეტ რეჟიმში არაუგვიანეს 2016 წლის 1 ივლისისა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა და უნივერსიტეტში შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

თუმცა საპროტესტო ტალღა უნივერსიტეტში ამით არ შეჩერებულა.

გაგრძელება მე-2 გვ.

პლანეტა “რიდმორი” - კონკურსი ლიტერატურის მოყვარული სტუდენტებისთვის

უნივერსიტეტების რანჟირების - ულტირანკ-ის რუკაზე თსუ-ს მაჩვენებლები აისახა



ერთ-ერთი ყველაზე გლობალური უნივერსიტეტების რანჟირების – ultirank-ის რუკაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაჩვენებლები აისახა. რანჟირება 5 კატეგორიაშია წარმოდგენილი - სწავლა და სწავლება, კვლევა, ცოდნის ტრანსფერი, საერთაშორისო ორიენტაცია და რეგიონალური საქმიანობა. აღნიშნულ რუკაზე საქართველოს სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა წარმოდგენილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკმაოდ კარგი შედეგები აქვს მთელ რიგ პარამეტრებში. მათ შორის: კვლევაში, საერთაშორისო ორიენტაციასა და საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების ქვეკატეგორიაში.

– ultirank უდიდესი დამოუკიდებელი საუნივერსიტეტო რანჟირებაა, რომელიც 2014 წელს დაიწყო ევროკომისიის ერასმუს+ პროგრამის დაფინანსებით და ყოველწლიურად აქვეყნებს 90-ზე მეტი ქვეყნის 1300-მდე უნივერსიტეტის მონაცემებს (3250 ფაკულტეტი და 10700-ზე მეტი სასწავლო პროგრამა).

http://www.umultirank.org/

უწყვეტი განათლება - მათთვის, ვისაც ახალი უნარების შეძენა სურს

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც შრომითი ბაზრის მოთხოვნები მუდმივად ცვალებადია, განსაკუთრებული მოთხოვნები გაჩნდა განათლების სისტემის მიმართ, ადამიანს ნებისმიერ ასაკში მარტივად უნდა შეეძლოს მისთვის საჭირო კვალიფიკაციის ან გადამზადების მიღება მისთვის ხელსაყრელ დროს. სწორედ ამის გამო, ბოლონიის პროცესმა გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა განათლების სფეროში და დაიწყო უწყვეტი განათლების კონცეფციის დანერგვა. ბოლონიის პროცესის თანახმად, უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა უნივერსიტეტების მისიებისა და სტრატეგიების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

გაგრძელება მე-3 გვ.

სიახლეები

ესეების კონკურსის შემაჯამებელი შეხვედრა

15 აპრილს გაიმართა „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ესეების კონკურსის – „ივანე ჯავახიშვილი – პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი” – შემაჯამებელი შეხვედრა.

ესეების კონკურსში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რაიონის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა. კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობდა 400-მდე მოსწავლე, მეორე ეტაპზე კონკურსის პირობებიდან გამომდინარე „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ საორგანიზაციო ჯგუფმა მიიღო 135 ესე, ესეების კონკურსის გამარჯვებული გახდა ქ. რუსთავის №13 საჯარო სკოლის მოსწავლე: გიორგი მელიქიშვილი ფსევდონიმით: „კლაუს 123“, თემის ხელმძღვანელი ლელა ქურდაძე.

მეორე ადგილი დაიკავა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის მოსწავლემ: ლეილა სხირტლაძემ ფსევდონიმით „მაშა 477“, თემის ხელმძღვანელი შორენა ცაბაძე.მესამე ადგილი დაიკავა ქ. თბილისის №116 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლიზი ექსეულიძემ, ფსევდონიმით: „ჰოლდენი 505“, თემის ხელმძღვანელი მაია გამისონია.რეიგინგულთა სიაში მოხვდნენ ბათუმის, ხაშურის, ქუთაისის, თეთრიწყაროს, ხონის, ფოთის, ადიგენის, რუსთავის, თბილისის და ხოვლეს საჯარო სკოლის მოსწავლეები. კონკურის ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა, ხოლო საპრიზო ადგილებზე გასულები უნივერსიტეტის სიმბოლური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ჟურნალი „თსუ სამართლის მიმოხილვა“ დაფუძნდა

18 აპრილს ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტის ახალი სტუდენტური ჟურნალის – „თსუ სამართლის მიმოხილვის“ დაფუძნების ცერემონია გაიმართა. პროექტის მხარდამჭერია იურიდიული ფირმა „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ (MKD).

ფოტოალბომი „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“

15 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ივანე ჯავახიშვილის შთამომავლები, თსუ აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ფოტოალბომის „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“ პრეზენტაციას დაესწრნენ. ღონისძიება კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა. ფოტოალბომი საქართველოს პრეზიდენტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით თსუ ბიბლიოთეკამ ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140-ე წლის საიუბილეოდ გამოსცა.

სამეცნიერო კონფერენციამ – „ქალის უფლებები სამართლებრივ დისკორსში“, დიდი ინტერესი გამოიწვია

თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტისა და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის ორგანიზებით, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის 31 მარტს, გაიმართა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქალის უფლებები სამართლებრივ დისკორსში”, რომელიც ორიენტირებული იყო ქალის უფლებების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გარშემო საქართველოში აკადემიური დებატების წახალისებაზე.

აკადემიკოს მზექალა შანიძის დაბადების 90 წლის იუბილე

14 აპრილს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღე აღინიშნა. ღონისძიება თსუ ემერიტუს პროფესორის, აკადემიკოს მზექალა შანიძის 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, სტუდენტები, პროფესორები ესწრებოდნენ.

სტუდენტებთან შეხვედრაზე აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ თავისი ცხოვრებისა და აკადემიური საქმიანობის შესახებ ისაუბრა, უპასუხა სტუდენტთა კითხვებს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესისა და ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და განსაკუთრებული ღვაწლისათვის ემერიტუს პროფესორი, აკადემიკოსი მზექალა შანიძე ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა. „ეს იუბილე თუ ჯილდო იმდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ მგვრის სიხარულს იმის ფიქრი რომ ქართულ ენას ამ ბოლო ხანებში დიდი ყურადღება მიექცა. ჩემი სიცოცხლის განმავლობაში აი ამ საქმეს ვადექი, არ მინდა ხმამაღალი სიტყვებით ვილაპარაკო, რომ მე მას ვემსახურებოდი. ქართული ენა არის ისეთი რამ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის ცხოვრებაში, და საჭიროა მივაქციოთ ყურადღება და ვემსახუროთ იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ჩვენი დღევანდელობისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი,“ – აღნიშნა თსუ ემერიტუს პროფესორმა მზექალა შანიძემ. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მრჩეველი სტუდენტებს შეხვდა

11 აპრილს თსუ-ში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მრჩეველი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებში, პროფესორი ვონ ტურეკიანი სტუდენტებს შეხვედა. ღონისძიებას სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, აშშ-ის საელჩოს, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროფესორმა ტურეკიანმა თემაზე „კავშირი მეცნიერებას, ინოვიაციასა და ბიზნესს შორის“ ისაუბრა, შემდეგ კი სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

პროფესორი ტურეკიანი სახელმწიფო მდივნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მრჩეველის თანამდებობაზე 2015 წლის სექტემბერში დაინიშნა.

ცვლილებების თვე უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

13 აპრილს „აუდიტორია 115“-ის წევრები მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობის გასაპროტესტებლად შეიკრიბნენ. 16 აპრილს დილიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის პიკეტირება მოხდა. აუდიტორია 115-ის წარმომადგენლებმა სასწავლო შენობა მოთხოვნების საფუძველზე დაიკავეს. აქციის მონაწილეები განათლების რეფორმას, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებს და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვდნენ. იმავე დღეს მოძრაობა „აუდიტორია115“-ის წარმომადგენლებმა თსუ-ს პირველი კორპუსის წინ აქცია გამართეს. ისინი განათლების სისტემის სრულ რეფორმირებას, სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმებას, რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევის ახალი წესის შემუშავებასა და ოღეერების მიერ უნივერსიტეტის დატოვებას მოითხოვდნენ. ამ მოთხოვნებით მათ საქართველოს მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს მიმართეს. აქციის მონაწილეებმა გარკვეული პერიოდის შემდეგ კანცელარიისკენ გადაინაცვლეს.

17 აპრილს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური მოძრაობის „აუდიტორია 115“-ის წევრებს შეხვდა. პრემიერთან საუბარი ერთი საათის განმავლობაში, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა განაცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ განათლების კანონის მუშაობაში თავად ჩაერთვება და სტუდენტებთან თანამშრომლობას გააგრძელებს. პრემიერის შეფასებით თვითმმართველობის არსებული ფორმა მიუღებელია და აღნიშნა, რომ: „კონკრეტული ფორმებზე თუ რა იქნება კიდევ ერთხელ ვიმსჯელებთ. შევთანხმდით, რომ შეიქმნება მათი მხრიდან სამუშაო ჯგუფი, რომელთან ერთადაც ჩვენ ვიმუშავებთ”.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით სტუდენტებთან მორიგი შეხვედრა მომავალი კვირის მეორე ნახევარში გაიმართება, სადაც ერთობლივად იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

„სამუშაო აგმოსფეროში გვექნება საუბარი დაფინანსების პრინციპებზე, განათლების სისტემის კრიტერიუმებზე, სტრუქტურაზე. ასევე თვითონ უნივერსიტეტებში მმართველობითი ორგანოების სტრუქტურებზე და ასეთ მტკივნეულ საკითხზე ჩვენ აუცილებლად ერთად მოვილაპარაკებთ. სტუდენტური პროტესტი არ არის უცხო რამ, სამწუხაროა, რომ სასწავლო პროცესი არის შეჩერებული ზოგიერთ კორპუსში. მე მათ ვთხოვე, რომ შეწყვიტონ პროტესტი და გარკვეული გარანტიებიც გავეცი ჩემი მხრიდან. ისინი თუ გაიზიარებენ ჩემს თხოვნას ეს ძალიან კარგი იქნება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნული საკითხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრაზეც განიხილა, პრემიერთან საუბრის შემდეგ კი, რექტორი 115-ე აუდიტორიაში შეკრებილ სტუდენტებს შეხვდა.

პრემიერი არ შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენელ სტუდენტებს. თუმცა, „აუდიტორია 115“-ის აქციასა და პრემიერ-მინისტრის სტუდენტებთან შეხვედრას თსუ თვითმმართველობის პრეზიდეტნი შალვა საბაური გამოეხმაურა: „თსუ-ში არ წყდება მთელი საქართველოს მასშტაბით უნივერსიტეტის თვითმმართველობები როგორი იქნება. გარდა ამისა, როდესაც ავტონომიაზეა საუბარი და მთავრობას სთხოვ საკანონმდებლო დონეზე ცვლილებებით გააუქმოს ამ მოცემულობის თვითმმართველობა, ამას ჰქვია ავტონომიის ვერ გაგება. თუ კი ესაუბრობთ იმაზე, რომ ქვევიდან ზევით მიმართული დემოკრატია გვინდა, ასეთ შემთხვევაში საერთო სტუდენტური აზრია მნიშვნელოვანი და ეს არჩევნების გზით წყდება ხოლმე. მე მგონია, რომ თავისუფლება, რომელიც არსებულ კანონში არის მითითებული უნდა შენარჩუნდეს. სტუდენტებმა თვითონ უნდა აირჩიონ უნდათ კლუბური სისტემა, არსებული სისტემა თუ რაიმე სხვა სახის ალტერნატიული სისტემა.“

დიალოგის პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

აკადემიური საბჭოს განცხადება

ბოლო დღეებში გავრცელდა არაერთი განცხადება ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების მხრიდან სტუდენტებზე, სტუდენტური მოძრაობის „აუდიტორია 115“ წევრებზე მეწოლის შესახებ. სტუდენტების განცხადებით, მათი ოჯახის წევრებზე მეწოლამ და მუქარამ პერმანენტული ხასიათი მიიღო და ძალოვანების მხრიდან ძირითადი მოთხოვნა სტუდენტური აქტივობის შეჩერებაა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო გმობს ნებისმიერი სახის მეწოლას სტუდენტებზე და მიაჩნია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს თითოეული მოქალაქის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ამასთან, აკადემიური საბჭო მიმართავს ყველა შესაბამის უწყებას და სახალხო დამცველს შეისწავლონ და დაუყონებლივი რეაგირება მოახდინონ აღნიშნულ ფაქტებზე.

თსუ რექტორი ვლადიმერ პაპავა საგოგადოებას ანგარიშს აბარებს

პირველი გვერდიდან

„მინდა მადლიერება გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, ვისთან ერთადაც ამ პერიოდის განმავლობაში მომიწია მუშაობა, მთელ კოლექტივს, რომელთან ერთადაც მნიშვნელოვან საქმეებს ვაკეთებდით უნივერსიტეტში – რექტორის მოადგილეებს, კანცლერს,“- განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ რექტორმა ყურადღება გაამახვილა სამი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში განხორციელებულ უმთავრეს სიახლეებზე: სტრუქტურულ ცვლილებებზე, სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებაზე, სახელმძღვანელოების თარგმნა-გამოცემაზე, ასპროცენტიანი გამჭვირვალეობის მიღწევაზე, საერთაშორისო რეიტინგებში თსუ წარმატებებზე. ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა უნივერსიტეტში ამოქმედებულ ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის შემოღების გადაწყვეტილებაზე, აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ახალ წესზე. მისი თქმით, 2015 წლიდან უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 525 ათასი ლარი მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამებისთვის.

ამავე დროს, თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა იმ საკითხებზეც, რომლის გადაწყვეტაც მან რექტორობის პერიოდში ვერ მოახერხა. მათ შორის, უნივერსიტეტისთვის საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვებაზე. „რექტორობიდან წასვლის წინ კიდევ ერთხელ მივწერე წერილი პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და განათლების მინისტრს: 2018 წლის ბიუჯეტში მაინც გაითვალისწინონ სახელმწიფო უნივერსიტეტების საბიუჯეტო დაფინანსება. ეს აუცილებელია უნივერსიტეტის ინსტიტუციური დაფინანსებისთვის,“ – განაცხადა ვლადიმერ პაპავამ. მისი თქმით, ვერ მოასწრო გეოინფორმაციული სისტემების გამოსაყენებლად ინტერდისციპლინარული სწავლებისა და კვლევის ცენტრის – გისლაბის შექმნა.

წარმატებებზე საუბრისას თსუ რექტორმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერის კუთხით გადაწყდა შვიდივე ფაკულტეტის წარმატებული 5-5 დოქტორანტის სწავლის საფასურის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფარვა; დაწესდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია და სამეცნიერო ფორუმი, იაკობ გობებაშვილის სახელობის პრემია შეირჩა წლის საუკეთესო პედაგოგები, რომელთაც გადაეცათ პრემიები; 2013 წლიდან თსუ ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 500 ათასი ლარი საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შესაძენად; თსუ მაღლივ კორპუსში სტუდენტური „სტარტაპ პროექტებისთვის“ შეიქმნა ფაბლაბი; თსუ რექტორის ინიციატივით „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შევიდა დამატება, რომლის თანახმადაც, უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის თსუ ყოფილ თანამშრომლებზე გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა, დაწესდა თსუ-ს ოფიციალური სიმბოლიკა – გერბი და დროშა. 2015 წლის 8 თებერვალს, უნივერსიტეტის დაარსების დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თსუ დააჯილდოვა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

„მე ვრჩები უნივერსიტეტში პროფესორად. ეს ჩემთვის ძალიან საამაყო თანამდებობაა. მყავს ძალიან კარგი სტუდენტები. საკმაოდ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი,“- აღნიშნა თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

ვლადიმერ პაპავა თსუ რექტორად აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 16 აგვისტოს აირჩია. 2016 წლის 30 მარტს ვლადიმერ პაპავამ აკადემიურ საბჭოს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართა. 20 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის ახალი შემსრულებელი აირჩიეს.

უწყვეტი განათლება - მათთვის, ვისაც ახალი უნარების შეძენა სურს

პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №14-ით (19-03.2007) დამტკიცებული უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი ძირითად სტრატეგიულ მიზნად თსუ-ში უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა დასახელდა, 2009 წელს უკვე ოფიციალურად შეიქმნა აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.

ცენტრის ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავება საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებისათვის. 2013 წელს ცენტრს შემოუერთდა აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება, 2015 წელს კი საბავშვო უნივერსიტეტიც, რის შემდეგაც ცენტრის სამიზნე აუდიტორიის ასაკობრივი სპექტრიც გაიზარდა და – საზოგადოებისათვის შეთავაზებული პროგრამების და ღონისძიებების მოცულობაც. 2015 წლიდან ცენტრს ეწოდება უწყვეტი განათლების ცენტრი.

უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შემუშვებული პროგრამები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება და უწყვეტი განათლება ფართო საზოგადოებისათვის.

შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება მიზნად ისახავს თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სამსახურში ახლადაყვანილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებას. ასევე, უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტთათვის სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო ღონისძიების შეთავაზებას.

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსის გია მამულაშვილის ინფორმაციით, „ფართო საზოგადოებისათვის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებისას, პირველ რიგში, საქართველოში არსებული დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს ვითვალისწინებთ. შესაბამისად ჩვენი კურსები გარკვეული დარგობრივი და/ან ზოგადი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული და მათი სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აბიტურიენტებს და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებს ვთავაზობთ ერთიანი ეროვნული და ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებს.

ძალიან საინტერესო პროგრამებს და ღონისძიებებს ვთავაზობთ სკოლის მოსწავლეებს საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში. დაინტერესებულ მოსწავლეებს შეუძლიათ დაესწრონ მუდმივმოქმედ ნორჩთა სკოლების ლექციებს.

სულ მალე ჩვენთან შესაძლებელი გახდება უცხო ენების შესწავლა.

ტარდება საჯარო ლექციები სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემატურ და საინტერესო საკითხზე, რომლებსაც მაღალკვალიფიციური და საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი მომხსენებლები უძღვებიან. ვგეგმავთ, რომ საჯარო ლექციებს უფრო სისტემატური სახე მიეცეს“. – ამბობს გია მამულაშვილი

პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია თსუ-ის ოფიციალური ვებგვერდის უწყვეტი განათლების გვერდზე. ასევე ფეისბუქზე: თსუ უწყვეტი განათლება/TSU LLL.

ამჟამად, მიმდინარეობს რეგისტრაცია: ინგლისურის, გერმანულისა და ფრანგული ენის სასერთიფიკაციო კურსებზე. ასევე ცენტრი სთავაზობს შემდეგ ტრენინგ კურსებს: „მეცნიერება და ინტერკულტურული კომუნიკაცია გერმანიაში“, „ტრენერების ტრენინგი დამწყებთათვის“, Excel-ის შემსწავლელ და კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კურსებს დამწყებთათვის.

ბაგონი გიას განცხადებით, „ჩვენთან თანამშრომლობა საინტერესო და სასარგებლოა მრავალი მიზეზის გამო; პირველ რიგში, ამას განაპირობებს ფაქტი, რომ ჩვენი კურსების შექმნისას საუნივერსიტეტო სივრცეში დაგროვილი ხანგრძლივი სასწავლო თუ კვლევითი გამოცდილებაა გამოყენებული; ჩვენი პედაგოგები გამოირჩევიან მაღალკვალიფიციურობით. ჩვენ ძალიან მყუდრო და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით აღჭურვილ სასწავლო გარემოს ვთავაზობთ საზოგადოებას საუკეთესო ადგილას, რამდენადაც ჩვენი ცენტრი თსუ პირველი კორპუსის ბაღში მდებარეობს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რაგომ უნდა მოგვმართოთ ისიცაა, რომ ჩვენ სპეციალურად თქვენთვის, თქვენი სპეციფიური მოთხოვნების გათვალისწინებითაც შეგვიძლია ახალი პროგრამების შექმნა. კურსების დასრულებისას გაიცემა საუნივერსიტეტო სერტიფიკატები“. – ამბობს მამულაშვილი .

სიახლეები

თსუ-ში ნატოსა და ევროკავშირის აუდიტორია გაიხსნა

5 აპრილს თსუ-ში ნატოსა და ევროკავშირის აუდიტორია გაიხსნა. აუდიტორიაში სტუდენტებისთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები და ლიტერატურა განთავსდა.

აუდიტორიის გახსნას თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი იოსებ სალუქვაძე, თსუ და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ნატოს საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის (აშშ) ჟურნალისტიკისა და სახალხო დიპლომატიის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორმა ფილიპ სეიბიმ სტუდენტებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „თანამედროვე მედია საშუალებები, მედია, როგორც რბილი ძალის კომპონენტი.“

თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია მდინარე ვერეს ნაპირთან აშენდება

„ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ახალი ლაბორატორია აშენდება ძველი ლაბორატორიის გვერდით, მდინარე ვერეს ნაპირთან,“ – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თსუ რექტორთან, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასთან და თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე 13 აპრილს. შეხვედრა სვანიძის ქუჩაზე, თბილისში 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის შედეგად განადგურებული თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ტერიტორიაზე გაიმართა.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თსუ-ს წარმომადგენლებს პირობა მისცა, რომ „მერიის შესაბამისი სამსახურები იმუშავებენ ტერიტორიის დაგეგმარების კორექტირებაზე, ყველაფერი ეს შეთანხმდება არქიტექტურის სამსახურთან, რათა ჰიდროლოგიის ლაბორატორიამ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში საქმიანობის გაგრძელება“.

ელექტრონული ოლიმპიადა მათემატიკაში

ორ აპრილს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის (IX-XII კლასები) დაიწყო ელექტრონული ოლიმპიადა მათემატიკაში.

2 აპრილს ჩატარდა ოლიმპიადის I ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 127 გუნდმა საქართველოს 28 რაიონიდან. საკონკურსო 15 ამოცანა (1 ამოცანა – 1 ქულა) დაიყო სამ ჯგუფად სირთულის მიხედვით – შედარებით მარტივი, საშუალო და რთული. II ტურში გადავიდა 68 გუნდი 40% და მეტი ქულით. II ტური გაიმართა 16 აპრილს დისტანციურად.ფინალი 23 აპრილს თსუ-ში, ელექტრონული ფორმით გაიმართა. გამარჯვებულის დაჯილდოვების ცერემონია ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში. გამარჯვებულებს ელით SDSU-საქართველოს და თსუ-ს მიერ დაწესებული პრიზები.

ელექტრონული ოლიმპიადა ტარდება ტემპუსის პროექტის-ARMAZEG-ის ფარგლებში შექმნილი ელექტრონული სწავლების ცენტრის მიერ. ოლიმპიადის მომზადებაში ჩართულია SDSU-საქართველოს სტუდენტთა ჯგუფი.

თსუ მკვლევარებმა შშმ პირთა დასაქმების მდგომარეობა შეისწავლეს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხები თსუ მკლევარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. თსუ მეცნიერებმა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მდგომარეობის შესახებ კვლევა ჩააგარეს და საკმაოდ საინტერესო შედეგები მიიღეს. კვლევა თსუ–ში არსებულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრმა პროექტის – „შშმ პირთა დასაქმება საქართველოში – პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილების გათვალისწინებით“ ფარგლებში განახორციელა. კვლევის გარდა, პროექტის ფარგლებშივე ჩაგარდა ესეების კონკურსი და საერთაშორისო ვორკშოპი, მომზადდა სოციალური კლიპი. აღნიშნული აქტივობების მიზანი იყო შშმ პირთა უფლებების საკითხის წინა პლანზე წამოწევა აკადემიურ სივრცეში.

პროექტის მხარდამჭერი იყო ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი. კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა ასევე შეისწავლეს ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების: პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება.

შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, კვლევის ხელმძღვანელის თამარ მახარაძის თქმით, მათი მიგნებები ასეთია:

• როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში შშმ პირთა დასაქმება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული და დასაქმებულთა რაოდენობა მათ რეალურ რიცხვზე გაცილებით ნაკლებია.

• დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა ეძლევათ ფსიქო–სოციალური საჭიროებების (ფსიქიკური პრობლემებისა და ინტელექტუალური განვითარების პრობლემების) მქონეთ. როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, დამსაქმებლები ყველაზე მეტად ამ ჯგუფების წარმომადგენლთა დასაქმებას ერიდებიან, რითაც მათდამი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ავლენენ.

• შშმ პირთა დასაქმების მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად ითვლება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები და უმუშევრობის მაღალი დონე. საქართველოში, ამას არაადაპტირებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურაც ემატება. სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა რეგიონებში.

• პრობლემას წარმოადგენს შშმ პირთა მიმართ დამსაქმებლებისა და, ზოგადად, საზოგადოების წევრების დამოკიდებულება. მათ, როგორც წესი, ნაკლები მოლოდინი აქვთ შშმ პირთა მიმართ, რომლებიც ძირითადად შრომისუუნაროდ მიაჩნიათ.

• მათ, ვისაც თავის საწარმოში შშმ პირთა დასაქმება წარმოუდგენია, აშინებს ის დამატებითი ხარჯები, რაც ძირითადად ფიზიკური სივრცის ადაპტირებას, დამხმარე ტექნოლოგიების შეძენას, შესაძლო ტრენინგებს უკავშირდება. პრობლემები მსგავსია საქართველოსა და უცხოეთში. განსხვავება ისაა, რომ კვლევისას შესწავლილ და ზოგადად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკაში, დასაქმებლებს აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფო ეხმარება. საქართველოში დამსაქმებელს ჯერჯერობით მარტოს უხდება მათთან გამკლავება და, შესაბამისად, მოგივაციაც ნაკლებია.

ამას გარდა, მკვლევარის შეფასებით, ბევრ ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის სისტემა ხელს უწყობს შშმპ-ს სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულებას და ამცირებს მათ მოგივაციას იმუშაონ. ზოგადად, მსოფლიოში არსებითად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც შშმ სტატუსის გამო შემწეობას იღებს. როგორც შშმ პირებთან ჩატარებულმა ჩვენმა თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, დასაქმების შემთხვევაშიც კი მათთვის რთულია თუნდაც ძალზე მწირ, რეგულარულ შემოსავალზე უარის თქმა. ეს შემწეობა მათ სჯარო სამსახურში მუშაობის დაწყებისას ეხსნებათ. ძირითად არგუმენტებად დასახელებულია ის, რომ: შშმ პირები ძირითადად დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე საქმდებიან, სადაც ხელფასი იმდენად მცირეა, რომ მათ ტრანსპორტში ეხარჯებათ. ბევრს სამსახურის დიდი ხნით შეინარჩუნების იმედი არ აქვს, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო, დაკარგული პენსიის აღდგენა კი დაკავშირებულია ბიუროკრატიულ პროცედურებთან და დროის ფაქტორთან. შესაბამისად, ბევრს მცირე პენსის შენარჩუნება და სამუშაოს ძიებაზე უარის თქმა ურჩევნია.

მნიშვნელოვანი დასკვნაა ისიც, რომ 2009 წელთან შედარებით, საქართველოში შშმ პირების ღია ბაზარზე დასაქმებამ უფრო რეალისტური სახე მიიღო: გარკვეულწილად გაიზარდა დამსაქმებლებისა და საზოგადოების მიმღებლობა, სჯარო სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში მეტად განვითარდა ინკლუზიური განათლება. უფრო გაძლიერდნენ შშმ პირები და მათთან მომუშავე ორგანიზაციები. თუმცა, კვლავ უმნიშვნელოვანეს ბარიერად რჩება: ქვეყანაში არსებული რთული სოციო-ეკონომიკური პირობები, არაადაპტირებული ფიზიური გარემო და ინფრასტრუქტურა, ხარისხიანი განათლების დეფიციტი შშმ პირებისთვის, პროფესიული რეაბილიტაციის და სხვა დასაქმების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამების, ღია შრომის ბაზარზე დასაქმების ალტერნატიული ფორმების არარსებობა და სხვა.

კვლევაში ჩართულები იყვნენ ასევე: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი თამარ აბაშიძე. ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი და ასისტენტ პროფესორი, შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე ირინე ჟვანია, პროექტში ჩართული გახლდნენ ჩარლზის (ჩეხეთი), კორნიეუსის (უნგრეთი) და ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტების პროფესორები.

პლანეტა "რიდმორი" – კონკურსი ლიტერატურის მოყვარული სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ახალი შემეცნებითი პროექტი პლანეტა „რიდმორი" დაიწყო. სტუდენტური პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში" ერთობლივად ახორციელებენ.

12 აპრილს თსუ-ში პრეზენტაცია ჩატარდა. პროექტი გაიხსნა გიორგი კეკელიძის სჯარო ლექციით "სამი აუცილებელი ნივთი".

ღონისძიებაზე ონლაინ მინი კონკურსის „სამი აუცილებელი ნივთი" გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ, რომელთაც გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში" სპეციალური პრიზები გადასცა.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და, კონკურსის ფორმით, სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება.

კონკურსში ჩართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ. კონკურსანტები პროექტისთვის შერჩეულ 10 წიგნს წაიკითხავენ და სპეციალურად კონკურსისთვის მომზადებულ ტესტებს დაწერენ. კონკურსის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელიც გამომცემლობის მიერ დაწესებულ მთავარ პრიზს - 1000 ლარს მიიღებს.

კონკურსის ინიციატორები და მონაწილეები ასე ხსნიან მის იდეას და მონაწილეობის სურვილს:

გიორგი კეკელიძე:

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც ტრადიციის სახეს იღებს და იმედს ვიტოვებ, დიდხანს გაგრძელდება. კარგია ისიც, რომ მისი ფორმატი, ნიუანსურად, მაგრამ ყოველწლიურად იცვლება. წლევანდელი საწყისი გამოწვევა, მართლაც დამაინტერესებელი იყო - ძნელია სამი სამუდამო ნივთის გამორჩევა, რომელსაც ამ ახალ პლანეტაზე წაიღებდი. არც ამ შერჩეული წიგნების წაკითხვაა ადვილი, სტუდენტური დროის გათვალისწინებით, მაგრამ მონაწილე ახალგაზრდები მოტივირებული ჩანან. მინდა მათ, გამომცემლობას, უნივერსიტეტსა და პროექტს წარმატება ვუსურვო.

ნინო კალანდია, თსუ პროექტების მენჯერი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტურ პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს. შემეცნებითი პროექტის „პლანეტა რიდმორი" იდეა სტუდენტებს ეკუთვნით, რომლებმაც აღნიშნული პროექტი ერთ-ერთ კონკურსში წარადგინეს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის პროექტების გუნდმა იდეა მოიწონა და მის განხორციელებას შეუდგა, მოვიძიეთ პარტნიორი და იდეას კონკრეტული პროექტის სახე მივეცით. პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის 2014 წლიდან დაიგეგმა და მასში უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები ჩაერთნენ.

წელს კონკურსი სტუდენტების წინაშე ახალი სახელით და კონცეფციით წარდგა. კონკურსის პარტნიორია გამომცემლობა „წიგნები ბათუმში", რომელმაც თავისი ფანტასტიკური ელფერი შესძინა კონკურსს. კონკურსი წარმატებით დავიწყეთ პრეკამპანიით, რომელიც გულისხმობდა მინი კონკურსს ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის. კონკურსანტებს უნდა დაესახელებინათ, რომელ სამ აუცილებელ ნივთ წაიღებდნენ ახლად აღმოჩენილ პლანეტაზე და მოეფიქრებინათ ამ ნივთების საინტერესო აღწერა. მინი კონკურსში 200-მდე სტუდენტი ჩაერთო და ძალიან სახალისო, საინტერესო და სათავგადასავლო წერილები მივიღეთ. გამოვლინდა სამი გამარჯვებული, რომელსაც სპეციალური პრიზები გადავეცით. შემდგომ დაიწყო ძირითადი კონკურსი, რომელშიც ამჟამად 500 კონკურსანტია დარეგისტრირებული, ყველა სტუდენტს აქვს საშუალება ჩაერთოს კონკურსში მეოთხე ტურის ჩათვლით და აღადგინოს გაცდენილი ტესტები მოგვიანებით. ვცდილობთ მაქსიმალურად ბევრი მონაწილე მოვიზიდოთ და ყველას მივცეთ შანსი მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში.

წინა წლების მოთხოვნის გათვალისწინებით, წელს ტესტირებისთვის ჩავნიშნეთ ორი ლოკაცია: კონკურსანტები, სურვილისამებრ, ტესტებს დაწერენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მაღლივ კორპუსში. ყველა ტურში გამოვლინდება ტურის ლიდერი, რომელიც დასაჩუქრდება სერტიფიკატითა და პრიზებით. კონკურსის პარალელურად, ინტერნეტ სივრცეში გვექნება ონლაინ ვიქტორინა საკონკურსო წიგნებზე, რომელიც მონაწილეებს მისცემს საშუალებას მოიპოვონ დამატებითი 2 ქულა.

ჩვენი კონკურსის სლოგანია „ახალი სამყაროები". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ვთავაზობთ ჩაერთონ კითხვის მარათონში და მხატვრული ლიტერატურის დახმარებით აღმოაჩინონ ახალი სამყაროები.

დეა ფანცულაია, სამართლის ფაკულტეტი, მე-2 კურსი, პროექტის მონაწილე:

ამ პროექტში უკვე მეორედ ვიღებ მონაწილეობას. შარშან სოციალური ქსელის საშუალებით შევიტყვე მის შესახებ და, იქიდან გამომდინარე, რომ ლიტერატურა ძალიან მიყვარს, მთელი 10 ტური ენთუზიაზმით და მონდომებულად ვკითხულობდი შერჩეულ წიგნებს. ვფიქრობ, პლანეტა „რიდმორი" ძალიან საინტერესო შემეცნებითი პროექტია იმ სტუდენტებისთვის, ვისაც კითხვა უყვარს, ამავდროულად, კარგია პროფესიული ლიტერატურის კითხვას ცოტა ხნით მაინც მოწყდე და მწერლის შექმნილი პერსონაჟების ბედზე ინერვიულო. პროექტში მომწონს ტესტირების ფორმატი, კითხვებიდან გამომდინარე წიგნის ზედაპიულად წაკითხვა საკმარისი არაა და, შესაბამისად, მაქსიმალურად ყურადღებით უნდა იკითხო და ჩაუღრმავდე. ხოლო პირველი წიგნი, „ყვავილები ელჯერნონისთვის" ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური წიგნია, რაც წამიკითხავს და დარწმუნებული ვარ ასეთი სასტარტო დავალების შემდგომი ტურებიც არანაკლებ საინტერესო იქნება.

ნათია ხვიჩია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, მე-2 კურსი, პროექტის მონაწილე:

პლანეტა „რიდმორის" შესახებ დაწვრილებით მეგობრებისგან გავიგე, მანამდე მხოლოდ უმნიშვნელო ინფორმაციას ვფლობდი. გაგებისთანავე გამიჩნდა სურვილი ჩავრთულიყავი ამ კონკურსში. ჩემთვის წიგნების კითხვა ძალიან სასიამოვნო პროცესია, შეიძლება ითქვას – განტვირთვაცაა. მოხარული ვარ ასეთ კონკურსში რომ ვიღებ მონაწილეობას, რადგან ვფიქრობ, რომ მისი მეშვეობით შემეძლება ჩემი ცოდნა უფრო გავიღრმავო, გავეცნო იმ ავტორების ნაშრომებს, რომლებიც შეიძლებოდა საერთოდ არ წამეკითხა. მეორე საკონკურსო ტურის წიგნის სახელწოდება როდესაც გავიგე, მივხვდი, რომ პლანეტა „რიდმორი" სხვადასხვა ტურის მეშვეობით განსხვავებული ჟანრის წიგნები წაკითხვის საშუალებას მომცემს. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ხედავ კონკურსში მონაწილეობის ამდენ მსურველს, მართალია ამით კონკურენცია იზრდება, თუმცა ვთვლი, რომ ეს კონკურსი არ არის მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული. სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ პრიზების ჩამონათვალით, ჩემთვის აზარტული იყო ის ფაქტი, რომ თითო კვირას ახალ წიგნს გავეცნობოდი, არ იქნებოდა ეს ჩემ მიერ დაგეგმილი. მინდა ვთქვა, რომ ძალიან სასიხარულო იქნება, კიდევ თუ იარსებებს წიგნიერების დონის ასამაღლებლად ისეთი კონკურსები, როგორიცაა პლანეტა „რიდმორი".

თსუ მაგისტრანტები სტაჟირებაგე WFP-ს სათაო ოფისში

თსუ უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ორი მაგისტრანტი, თეონა რუსია (ინფორმაციული ტექნოლოგიები) და ირმა მახარაძე (ინფორმაციული სისტემები), გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამამ (WFP) 6 თვიანი ანაზღაურებული სტაჟირებისთვის შეარჩია. ისინი სტაჟირებას რომში გაივლიან.

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ეს ინიციატივა გულისხმობს გაეროს სტრუქტურებში საინფორმაციო ტექნოლოგიის მიმართულებით ქალთა ჩართულობის მხარდაჭერას და ამ პროფესიის ახალგაზრდა ქალი კანდიდატების დასაქმების ხელშეწყობას. კანდიდატებმა შერჩევის რამდენიმე ეტაპი გაიარეს, მათ შორის სკაიპ ინტერვიუები. ირმაც და თეონაც თავის უშუალო კურატერებსაც ესაუბრნენ და უკვე იციან, რომ ამ ორგანიზაციის მონაცემთა ბაზების და ვებ- გვერდის მართვა-განახლებაზე მოუწევთ მუშაობა. რადგან ორივე მათგანის შეფასებით ეს სტაჟირება კარიერული წინსვლის კარგი საშუალებაა, თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს.

„მსოფლიო სასურსათო პროგრამა რამდენიმე თვის წინ დაუკავშირდა თსუ-ს კარიერული განვითარების ცენტრს. ბაზიდან ამოვიღეთ IT მიმართულების ყველა მაგისტრანტი გოგონას საკონტაქტო ინფორმაცია და თითოეულს პირადად დავუკავშირდით. ყოველთვიური ანაზღაურების გარდა, ორგანიზაცია სტაჟიორებს უფარავს ბილეთის საფასურს. წარმატებულმა სტაჟიორებმა შეიძლება ძალიან საინტერესო შემოთავაზებებიც მიიღონ გაეროს სხვადასხვა ორგანიზაციებში მსოფლიოს მასშტაბით. ასე რომ, ეს სტაჟირება ჩვენს სტუდენტებს არა მხოლოდ პირადი და პროფესიული ზრდის საშუალებას აძლევს, არამედ გზას უხსნის საერთაშორისო შრომის ბაზრისკენაც", – აღნიშნავს კარიერული ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა ცხადაძე.

როგორ ჩავერთოთ თსუ კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში?

ხელოვნება

უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი წლის განმავლობაში არაერთ ღონისძიებას ახორციელებს. ყველა ეს ღონისძიება იმართება სტუდენტებისათვის და უმეტეს შემთხვევაში – სტუდენტების მონაწილეობით.

უნივერსიტეტის თითქმის ყველა კოლექტივი დაკომპლექტებულია თსუ-ს სტუდენტებით და ნებისმიერ სტუდენტს, შესაბამისი ნიჭით და გამოცდილებით აქვს საშუალება ჩაერთოს სხვადასხვა კოლექტივის საქმიანობაში.

ჯგუფებში მიღება ცხადდება ყოველწლიურად, ზოგჯერ წელიწადში 2-ჯერაც. ეს დამოკიდებულია ჯგუფის შემადგენლობის ცვლილებებზე. მოგეხსენებათ, ზოგი სტუდენტი სწავლასთან ერთად მუშაობს კიდეც და ყოველთვის ვერ ახერხებს შემოქმედებით საქმიანობაში სრულ ჩართვას.

ჯგუფებში მიღება შერჩევის წესით წარმოებს და ამ შერჩევებს ჯგუფების ხელმძღვანელები აგარებენ. ასევე უნივერსიტეტს აქვს ცეკვის სამოყვარულო ჯგუფები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ცეკვის შესწავლა. შესარჩევი ტურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ვრცელდება პოსტერების, სოც. ქსელის და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით.

სპორტი

უნივერსიტეტის სპორტის დეპარტამენტში შემდეგი კლუბები ფუნქციონირებს: ფუტსალის სტუდენტური გუნდი; ფუტსალის გუნდი (საქართველოს ჩემპიონატი); კალათბურთის სტუდენტური გუნდი; კალათბურთის გუნდი (ა – ლიგის ჩემპიონატი); ვაჟ ფრენბურთელთა სტუდენტური გუნდი,რომელიც ასევე მონაწილეობს საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატში; ქალ ფრენბურთელთა სტუდენტური გუნდი, ასევე მონაწილეობს საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატში; რაგბის სტუდენტური გუნდი; ათლეტიზმი; მკალავჭიდი; მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა; ალპინიზმი.

გუნდებში მიღება ცხადდება წელიწაში ორჯერ, სადაც სპორტსმენებს მწვრთნელები ირჩევენ. ასევე ტარდება უნივერსიტეტებს შორის სპორტული შეჯიბრებები, დაახლოებით, სპორტის 20 სახეობაში. გვაქვს შიდა შეჯიბრებებიც, რომელთაც უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა აგარებს.გარე შეჯიბრებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი და შემდგომ, უშუალოდ სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით ხდება ჩემპიონატებში ჩართვა.

სტუდენტის ცნობის წარდგენის შემდეგ დეპარტამენტი გასცემს სპეციალურ საშვებს, რისი მეშვეობითაც სტუდენტები ათლეტიზმის, მაგიდის ჩოგბურთის ან მკლავჭიდის სხვადასხვა აქტივობაში ერთვებიან.

შესარჩევი ტურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიბრძანდნენ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში, რომელიც თსუ-ს I კორპუსში, 328-ე აუდიტორიაში მდებარეობს.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge